მესტიის მუნიციპალიტეტის გერბის აღწერა

გერბის ფარი გაკვეთილია და გადაკვეთილია 4 ნაწილად (ველად).

I - მეწამულ (წითელ) ველზე გამოსახულია ვერცხლის (თეთრი) შუბოსანი, ვერცხლის ფარიანი, ქვეითი წმინდა გიორგი ოქროს შარავანდედით თავზე.

I I - ლაჟვარდოვან ველს კვეთს სამი ვერცხლის სარტყელი, რომლის ზედა ნაწილში გამოსახულია ოქროს ვერძის ტყავი.

I I I - ველი გადაკვეთილია ვერცხლის ტეხილით, რომლის ზურმუხტის ველზე გამოსახულია ოქროს დათვი აღჭურვილი წითელი ენით, ხოლო ზედა ნაწილი ლაჟვარდის ფერია.

I V - ნაწილის მეწამულ ველზე ცენტრში გამოსახულია ვერცხლის სახლი და კოშკი, რომლის მარჯვნივ გამოსახულია ოქროს კვერთხი, ხოლო მარცხნივ - ზეაღმართული ოქროს ხმალი.

ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-ლაჟვარდოვანი ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩაწერილია დევიზი „მესტია“.